დუბლიორთა მატჩი

გუშინ თბილისის “დინამომ” სტადიონზე გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების დუბლიორ ფეხბურთელთა კალენდარული მატჩი საკავშირო პირველობაზე. თბილისის დინამოელებმა მიიღეს ალმა–ათის “ქაირათი”.

შეხვედრა დამთავრდა ფრედ – 2:2. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს გურულმა და მიქაბერიძემ.

თბილისის ”დინამომ” ასეთი შემადგენლობით ითამაშა: მჭედლიძე (აბუსერიძე), თვალაბეიშვილი (ფარფალია), დოჩია, იაშვილი, კუდინოვი, ლოგუა, ლაცაბიძე, კერესელიძე (თორღაშვილი), მიქაბერიძე, გურული, ბარათაშვილი (გამყრელიძე).

“ლელო”, 3 ოქტომბერი, 1982 წ.